კომპანია “ბლექსი გრუპს”

“რადიო თავისუფლება”ამზადებს მასალას ნიკა გილაურთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ გვიპასუხოთ რამდენიმე შეკითხვაზე:

1. 2025 წლის 12 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შპს „ბლექ სი გრუპის“ სარჩელი ნიკა გილაურისა და მასთან დაკავშირებული კომპანიების წინააღმდეგ და მოპასუხეებს სოლიდარულად დააკისრა მრავალმილიონიანი თანხის გადახდა, რაც მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომაც დატოვა ძალაში. ეთანხმებით თუ არა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას და რამდენად დასაბუთებულად და კანონიერად მიგაჩნიათ იგი?
2. მოხდა თუ არა ნიკა გილაურის მხარის მიერ თქვენი კომპანიისთვის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხების ნებაყოფლობითი ან იძულებითი ანაზღაურება? კერძოდ, საჯარო წყაროების თანახმად, 2026 წლის 16 ივლისს იძულებით აუქციონზე გაიყიდა ნიკა გილაურის საცხოვრებელი სახლი — გადმოერიცხა თუ არა აღნიშნული უძრავი ქონების სარეალიზაციო თანხა თქვენს კომპანიას?
3. რით ხსნით იმ გარემოებას, რომ 2021 წლიდან მიმდინარე 4-წლიანი სასამართლო განხილვები მკვეთრად დაჩქარდა 2024 წლის შემოდგომაზე და საქალაქო სასამართლომ პროცესი ფორსირებულ რეჟიმში, დაახლოებით 2.5 თვეში დაასრულა?
4. სამართლებრივად, რა კავშირი ჰქონდა კერძო პირ ნიკა გილაურს ან შპს „რეფორმატიკსს“ „ბლექ სი გრუპისთვის“ ჰესების მშენებლობის დაკვეთასთან? რა კონკრეტულმა გარემოებებმა განსაზღვრა გილაურის პერსონალური და იმ კომპანიის სოლიდარული პასუხისმგებლობა, რომელიც უშუალოდ სადავო ხელშეკრულების მხარე არ ყოფილა?
5. ქართული სასამართლოების აღნიშნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გერმანელმა და ქართველმა იურისტებმა გამოაქვეყნეს სამართლებრივი სტატია, სადაც სასამართლოს მიერ შპს-ის კორპორაციული საფარველის გაჭრა და სამ-საფეხურიანი გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრება შეფასებულია როგორც დაუსაბუთებელი, უპრეცედენტო და ქართულ, გერმანულ კანონმდებლობასთან, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამო. როგორია ამ შეფასებაზე თქვენი კომპანიის პოზიცია?
6. საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით, თქვენი კომპანიის მეწილის/დამფუძნებლის ოჯახის წევრებმა მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ წარსულში 100 ათასი ლარი შეწირეს. ზუსტია თუ არა ეს ინფორმაცია და არიან თუ არა თქვენი კომპანიის მფლობელები/ხელმძღვანელები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები?

პატივისცემით, გიორგი მგელაძე

ტელ: 599 68 28 38

ელფოსტა: mgeladzegia@gmail.com